ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01200733614**
თარიღი: **13/03/2020**
პინი: **1492**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: თეიმურაზ ცაავა
პირადი ნომერი: 01024060610
მისამართი: თბილისი ლ.მესხიშვილის ქ. N 16/8

ბატონო თეიმურაზ,

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 13.03.20 #19/01200732521-61 წერილი, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.15.05.090.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივ სივრცედ ჩათვლის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 01.15.05.090.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, წარმოადგენს წიწვოვანი ნარგავებით ინტენსიურად გამწვანებულ ტერიტორიას და დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, მინიჭებული აქვს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სტატუსი, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით, დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან და ბილიკებისა (მუხლი 16). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული სივრცე არ წარმოადგენს საპრივატიზებო ობიექტს და ამ ეტაპზე არ იგეგმება მისი რაიმე სახით განკარგვა. შესაბამისად სააგენტო არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.15.05.090.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, ჩაითვალოს საზოგადოებრივ სივრცედ.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სერვისების განვითარების სააგენტო
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
MSDA-078
405026877